

სხდომის ოქმი №49

25 სექტემბერი 2019 წელი

ქ. ბათუმი

სხდომის თავმჯდომარე:

ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარე, დეპარტამენტის უფროსის პირველი მოადგილე რაულ ბერიძე იმყოფება შვებულებაში (ბრძანება #104. 09.09.2019-27.09.2019წ). შესაბამისად საბჭოს ხელმძღვანელობს ტექნიკური სამსახურის უფროსი მერაბ სანიკიძე.

ტექნიკური საბჭოს წევრები:

იურიდიული სამსახურის უფროსი: მ. ბოლქვაძე  
ტექნიკური სამსახურის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ა. დუმბაძე, ნ. კილაძე, ა. თედორაძე

დღის წესრიგი

შპს „გზები“ ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა - დიდაჭარის იაილა“ კმ3+240-კმ6+500 სამუშაოების შესრულების ვადის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი:

მ. სანიკიძე

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დეპარტამენტის მიერ 2019 წელს გაფორმებული ხელშეკრულების (#142. 11.04.2019წ) თანახმად, შპს „გზები“ აწარმოებს ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა“ კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

- ვინაიდან მაღალმთიან ზონაში მდებარე სამშენებლო ობიექტზე თოვლის საფარის სიმაღლე საკმაოდ დიდი იყო და მიმწოდებელმა ვერ შეძლო ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში (20.05.2019 წ) სამუშაოების დაწყება, არსებული მდგომარეობის ადგილზე შეწავლის შემდგომ ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილებით (სხდომის ოქმი #14. 21.05.2019წ) შპს „გზებს“ სამუშაოების დაწყების ვადა განესაზღვრა 2019 წლის 10 ივნისიდან 30 სექტემბრამდე, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გეგმა-გრაფიკის შესაბამისად - 112 კალენდარული დღე, ნაცვლად 120 დღისა. (დღეთა რაოდენობის შემცირება განაპირობა შემოდგომის თვეებში მაღალმთიან ზონაში უამინდობის მოლოდინმა)

დეპარტამენტში შემოსული წერილით (დანართი#1. #157. 18.09.2019წ) შპს „გზები“ უამინდობის და უხვი ნალექის გამო (ამინდის ცნობა #12/1-993. 24.09.2019წ; წერილი #1938. 25.09.2019წ) ვერ ასრულებს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში (29.09.2019წ) სამუშაოების სრულად დასრულებას. ასევე ხელისშემშლელი ფაქტორია ის გარემოებაც, რომ ამ პერიოდისათვის მოსახლეობის მიერ მთის იალაღებიდან მშენებარე გზის გავლით ხდება საქონლის გადმორეკვა და ბარად დაბინავება.

სამშენებლო გზაზე არსებულ მდგომარეობას ადასტურებს ტექნიკური სამსახურის ხულოს განყოფილების უფროსის რამაზ შერვაშიძის მოხსენებითი ბარათი.

ზემოხსენებული ხელისშემშლელი გარემოებების გათვალისწინებით დეპარტამენტის ტექნიკურ საბჭოს წევრებს მიზანშეწონილად მიაჩნიათ, სამუშაოების შესრულების ვადის 2019 წლის 08 ოქტომბრამდე გაგრძელება (08 კალენდარული დღე)

აზრი გამოთქვს:

წევრებმა: მ. ბოლქვაძემ, ა. თედორაძემ,  
ა. დუმბაძემ, ნ. კილაძემ

ტექნიკური საბჭოს წევრებმა მხარი დაუჭირეს გამოთქმულ მოსაზრებას, სარეაბილიტაციო გზაზე ხელიშემშლელი გარემოებების გამო „გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა“ კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების (საბოლოო) ვადის 2019 წლის 08 ოქტომბრამდე გაგრძელების თაობაზე (08 კალენდარული დღით).

დაადგინეს: 1. რეკომენდაცია მიეცეს დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, შპს „გზებს“ წერილობით აცნობოს ხულოს მუნიციპალიტეტის ს/გზა „გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა - დიდაჭარის იაილა“ კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე #142 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადის (საბოლოო) 2019 წლის 08 ოქტომბრამდე გაგრძელების თაობაზე (08 კალენდარული დღე).

ტექნიკური საბჭოს გადაწყვეტილება ეცნობოს შესყიდვების სამსახურს შესაბამისი პროცედურების გასატარებლად.

წევრები:

/მ. სანიკიძე/

/მ. ბოლქვაძე/

/ა. თედორაძე/

/ა. დუმბაძე/

/ნ. კილაძე/

ტექნიკური საბჭოს მდივანი:

/ი. ბერიძე/

საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
შპს „გზები“



GEORGIA  
AJARA AUTONOMOUS REPUBLIC  
“GZEBI” Ltd.

ბათუმი, ხელვაჩაური, აკაკი შანიძის I შეს. # 4  
# 4 Akaki Shanidze str. ,Khelvachauri, Batumi  
Phone: 25 80 71

საიდენტიფიკაციო კოდი 245 425 393  
Identification code

№ 157 18 სექტემბერი 2019 წ

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის  
უფროსს  
ბატონ მუხრან კაკაბაძეს

ბატონო მუხრან,

ჩვენს შორის 2019 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება № 142 - ის საფუძველზე ვაწარმოებთ ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა "გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა" კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

ტენდერის პირობების თანახმად აღნიშნული სამუშაოებისათვის განსაზღვრული იყო 120 კალენდარული დღე, ხოლო სამუშაოების დაწყების თარიღი უნდა ყოფილიყო 20 მაისი. 16 მაისს აჭარის ა.რ. გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტს მივმართეთ წერილით, რომელშიც ვითხოვდით სამუშაოების დაწყების ვადის გადაწევას არაუგვიანეს 10 ივნისამდე სამუშაოების წარმოების ადგილებში უხვი თოვლის საფარის არსებობის გამო, რაც შეუძლებელს ხდიდა სამუშაოების დაწყებას. დეპარტამენტმა დააკმაყოფილა ჩვენი თხოვნა და სამუშაოების დაწყების ვადა გადაწია 10 ივნისამდე, მაგრამ ამ ცვლილების ძალაში შესვლის შემდეგ შემცირდა სამუშაოების წარმოებისათვის ტენდერის პირობებით განსაზღვრული დღეების რაოდენობა.

ამას გარდა, სექტემბრის თვეში იყო უხვი ნალექი, სეტყვა და უამინდობა, რაც ხელს უშლის სამუშაოების წარმოებას, ასევე მემთეურების მიერ ნახირის გადადენვა, რაც ასევე აფერხებს სამუშაოების შესრულებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთაღნიშნული გაგვიგრძელოთ სამუშაოების ვადა 10 დღის ვადით.

პატივისცემით,  
შპს „გზები“-ს დირექტორი:

ო.აბაშიძე



Irakli  
Abashidze

Подписано цифровой  
подписью: Irakli Abashidze  
Дата: 2019.09.18 15:49:11  
+04'00'

აჭარის ა.რ. საავტომობილო გზების  
დეპარტამენტის უფროსს ბატონ  
მუხრან კაკაბაძეს

ამავე დეპარტამენტის ტექნიკური  
სამსახურის ხულოს განყოფილების  
უფროსის რამაზ შერვაშიძის

**მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი**

მოგახსენებთ, რომ 2019 წლის 20 სექტემბერს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხულოს განყოფილებაში შემოვიდა შპს „გზების“ 18.09.19წ. დათარიღებული წერილი №157, სადაც მოითხოვს ვადების გაზრდას, რომელიც ტენდერის პირობების თანახმად ს/გზა „გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის იაილა“ კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე აწარმოებს გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. სამუშაო პროცესში ხელისშემშლელ გარემოების გამო მომწოდებელი გათვალისწინებულ ვადებში (29.09.2019წ) ვერ ასრულებს სრულად გათვალისწინებულ სამუშაოებს, კერძოდ: მ/წლის სექტემბრის თვეში მოსული უხვი ნალექისა და ასევე მოსახლეობის მიერ მთის იალაღებიდან მშენებარე გზით ხდება საქონლის დაბრუნება სამთო საძოვრებიდან. ზემოთ მითითებულ სამშენებლო ობიექტზე სამუშაოს წარმოებისათვის საჭიროა სამუშაოების ვადის გაგრძელება გონივრული ვადით.

აღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ თქვენს რეაგირებას.

რამაზ შერვაშიძე

განყოფილების უფროსი



საქართველო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
შპს „გზები“



GEORGIA  
AJARA AUTONOMOUS REPUBLIC  
“GZEBI” Ltd.

ბათუმი, ხელვაჩაური, აკაკი შანიძის I შეს. # 4  
# 4 Akaki Shanidze str., Khelvachauri, Batumi  
Phone: 25 80 71

საიდენტიფიკაციო კოდი 245 425 393  
Identification code

№ 161 25 სექტემბერი 2019 წ

აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის  
უფროსს  
ბატონ მუხრან კაკაბაძეს

ბატონო მუხრან,

ჩვენს შორის 2019 წლის 11 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება № 142 - ის საფუძველზე  
ვაწარმოებთ ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა "გოდერძის უღელტეხილი-მწვანე ტბა-დიდაჭარის  
იაილა" კმ3+240-კმ6+500 მონაკვეთზე გზის რეაბილიტაციის სამუშაოებს.

ავგისტო - სექტემბრის თვეში იყო უხვი ნალექი, სეტყვა და უამინდობა, (რის  
დამადასტურებლად წარმოგიდგენთ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ 2019 წლის 24  
სექტემბერს გაცემულ ცნობა №12/1-993) რაც ხელს უშლის სამუშაოების წარმოებას, ასევე მემთეურების  
მიერ ნახირის გადადენვა, რაც ასევე აფერხებს სამუშაოების შესრულებას.

გთხოვთ გაითვალისწინოთ ზემოთაღნიშნული გაგვიგრძელოთ სამუშაოების ვადა 19 დღის  
ვადით.

პატივისცემით,  
შპს „გზები“-ს დირექტორი:

ი.აბაშიძე

Irakli  
Abashidze

Подписано  
цифровой  
подписью: Irakli  
Abashidze  
Data: 2019.09.25  
12:33:56 +04'00'





N 12/1-993

24 09 2019

შპს "გზები"-ს დირექტორს

ბ-ნ ირაკლი აბაშიძეს

ბატონო ირაკლი,

თქვენი, 2019 წლის 24 სექტემბრის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ გოდერძის უღელტეხილზე მეტეოროლოგიური დაკვირვებები არ წარმოებს, ამიტომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-სა და შპს „გზები“-ს შორის 2019 წლის 24 სექტემბერს გაფორმებული ფასიანი მომსახურების შესახებ №ფმ-1/914 ხელშეკრულების შესაბამისად, მისგან უახლოესი - დაბა ხულოს მეტეოროლოგიური საგუშაგოს მონაცემებზე დაყრდნობით, გაცნობებთ, რომ 2019 წლის 17 აგვისტოდან 22 სექტემბრის ჩათვლით ნაღვეი აღინიშნა:

17, 18, 19, 20, 22, 23, 25, 28, 31 - აგვისტოს;

02, 05, 06, 07, 11, 15, 17, 18, 21, 22 - სექტემბერს.

სულ - 19 დღე.

პატივისცემით,

სააგენტოს უფროსი



ანდრო ასლანიშვილი

